ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1327799

ნომერი: AR1228407

თარიღი : 12.06.2014

გაცემის თარიღი : 17.06.2014

გაცნობის თარიღი : 29.07.2014

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემინი მამედოვი პ/ნ 01015001956
- თბილისი ნ.ქუმსიაშვილის ქ. N 1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად gacnobebT, rom აღნშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განსახორციელებლად უნდა მომართოს იმ პიროვნებამ რომელებზეც გაცემულია აღნშნული დოკუმენტები ან დღევანდელმა მიწის ნაკვეთის მფლობელმა. შესაძლებელია წარმოადგინოთ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ: კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი მისი თანხმობა აღნიშნულ დოკუმენტში ცვლილების შეტანის თაობაზე ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამკვეთის/მიწის მესაკუთრის თანხმობა.

შესაძლებელია მიწის ნაკვეთის დღევანდელი მესაკუთრე ან დოკუმენტების დამკვეთი დაფიქსირდნენ თანაგანმცხადებლად .

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გასაცემად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. თქვენი განცხადება შემოსულია 2014 წლის 12 ივნისს . თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 4 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტის წარმოსადგენად. სამსახურს დარჩენილი აქვს 8 სამუშაო დღე; თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება აღმოფხვრილი ხარვეზი, განცხადება დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ სადაც წარმოდგენილი იქნება მოთხოვნილი დოკუმენტი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.